



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა, ბაკალავრიატი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი - 17.03.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი -13.04.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	18
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	19
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	25

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქიტექტურა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architecture
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება Architecture and Town Planning 0731 (0731.1.1 არქიტექტურა /Architecture)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #36, 03/07/2017
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

• ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას „არქიტექტურა“ 2017 მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #36, 03/07/2017). პროგრამის მახასიათებლებია:

- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი;
- სწავლების ხანგრძლივობა - 8 სემესტრი (4 აკადემიური წელი);
- სწავლების ენა - ქართული.
- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები და თავისუფალი კომპონენტები. პროგრამა მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (156 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს/მოდულებს (30 კრედიტი), პრაქტიკის კომპონენტი (6 კრედიტი); თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებს (42 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებს (12 კრედიტი). პროგრამით გათვალისწინებულია უცხოური ენის კომპონენტი (36 კრედიტი) – ინგლისური ენის ცოდნის დონის დამდგენი ტესტის შემდეგ სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნება ინგლისური ენის შესაბამისი დონის კურსი. პროგრამის მიხედვით ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ B2 დონეზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად: „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში ცვლილებები არ შეეხო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს (თუმცა განხორციელდა მათი ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით), ხოლო პროგრამის სტრუქტურამ განიცადა გარკვეული ცვლილებები. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, იყო გათვალისწინებული „არქიტექტურის“ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილეს ბრძანებით (MES 9 23 0000150148, 09/02/2023) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (გიორგი წანაწყენიშვილი, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა შპს „აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში 2022 წლის 29 ნოემბრის №2918/01-01-31-06 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1521349; 30.11.2022) წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოხდა მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და ექსპერტთა დასკვნის ჩამყალიბება.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილულია პირველი და მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1, 4.3, 4.4 ქვესტანდარტი.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

I სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია
- 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.4 სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

კერძოდ:

- 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4.4. მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამაგანო მიღებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.)

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.3.

მიზანშეწონილია სწავლების მეთოდები მიეთითოს სილაბუსში „პროფესიული პრაქტიკა“.

2.4.

მიზანშეწონილია გადაიხედოს სილაბუსები სტუდენტთა შეფასების კომპონენტებში შესაძლო ქულების გრადაციისა და შეფასების კრიტერიუმების ნაწილში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

-

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ არგუმენტირებულ პოზიციას არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია (*პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.)*) რჩება უცვლელი შემდეგი გარემოებების გამო :

არქიტექტურა, როგორც სახელოვნებო დარგი, მოითხოვს ამ სფეროში მოღვაწეობის მსურველი აბიტურიენტის მინიმალურ შემოქმედებით (მათ შორის, სახვითი ხელოვნების, სივრცითი აზროვნების) უნარებს, რასაც არ სჭირდება სრული ზოგადი განათლების საფეხურზე ცალკე სახვითი ხელოვნების სასკოლო საგნის არსებობა. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება სხვა სახელოვნებო მიმართულებებზეც (სამხატვრო, მუსიკალური, თეატრალური და სხვ.), როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველი აბიტურიენტების სახელოვნებო/შემოქმედებითი უნარების შეფასება არ არის დაკავშირებული მათ მიერ სრული ზოგადი განათლების საფეხურზე სპეციფიკური სახელოვნებო საგნების შესწავლასთან.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს არქიტექტურის სფეროს საფუძვლების, არსის, ქალაქთმშენებლობის, მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების, მეთოდების და ტექნოლოგიების ცოდნით; თანამედროვე არქიტექტურის საზოგადოებრივ - ისტორიული განვითარების ასპექტების შესახებ ფართო თეორიული ცოდნით; არქიტექტურის სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მათი გაანალიზებისა და დასაბუთებული დასკვნის გაკეთების და პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარებით; არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პროფესიული ეთიკის, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების დაცვით შემოქმედებითი იდეების, პროფესიული ინფორმაციის თუ საკუთარი აზრის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე გადაცემის უნარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „არქიტექტურის“ საბაკალავრო პროგრამა (კურიკულუმი).

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს

არქიტექტურის სფეროში ძირითადი თავისებურებებისა და პრინციპების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს; განსაზღვრავს არქიტექტურის არსს, ფერთა ჰარმონიის და კომპოზიციის კანონებს და მათი, როგორც სივრცით აზროვნებაზე და პროპორციის შეგრძნებაზე ზემოქმედების მნიშვნელობას არქიტექტურული პროექტირების ფორმირებისათვის; განსაზღვრავს საპროექტო მასალის ვიზუალიზაციისთვის პროფესიულ ხერხებს, დაპროექტების თეორიასა და მეთოდებს, სხვადასხვა კონსტრუქციებს, მასალების თვისებებსა და მშენებლობის მეთოდებს; აღწერს არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სოციალურ კონტექსტს, ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებს და შენობა-ნაგებობებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ასპექტებს, მშენებლობაში გამოყენებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციებს, ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების სისტემებს; ახორციელებს არქიტექტურული დაპროექტების პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს; ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური მოთხოვნების, ერგონომიკული თავისებურებების და კომპოზიციის კანონების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითებებით ახდენს დაპროექტებას, იყენებს ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიულ და კულტურული პრეცედენტებს; მოქმედი საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული წესების საფუძველზე, ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით, დაამუშავებს არქიტექტურულ პროექტებს; ახდენს არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე არსებითი პრობლემების იდენტიფიცირებას, ლოგიკური აზროვნების საფუძველზე განყენებული მონაცემების, სიტუაციების, კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროექტირებასთან დაკავშირებული სხვა საინჟინრო პრობლემების გაანალიზებას, იდეურ-მხატვრული, ლოგიკური, ემოციური და ესთეტიკური არგუმენტაციის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას და მათ ეფექტურ წარდგენას დაინტერესებული აუდიტორიისათვის. იღებს პასუხისმგებლობას ქალაქგეგმარებით სიტუაციაში ობიექტის დაპროექტების პროცესზე, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო და სამუშაო გარემოში ახდენს არქიტექტურასთან დაკავშირებული საქმიანობის, პროფესიული, ეთიკური და სოციალური პრინციპების დაცვით განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „არქიტექტურის“ საბაკალავრო პროგრამა (კურიკულუმი).

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი“, რომელიც აღწერს კურიკულუმის რუკის შედგენის მეთოდებსა და შესაბამის მაგალითებს, გასაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითებს. გზამკვლევში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების უკუკავშირის მექანიზმები, და მასში ჩართული პირები. დოკუმენტი ატვირთულია დაწესებულების ვებგვერდზე <https://eeu.edu.ge/portfolio/instrukciebi-tsesebi/>, რაც უზრუნველყოფს მოქმედი წესების საჯაროობას.

პროგრამის კურიკულუმს ერთვის შემდეგი ინფორმაცია: პროგრამის შედეგების რუკა (ადგენს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობას), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (არგენს კავშირს სწავლის შედეგებსა და მათ ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსებს/სხვა კომპონენტებს შორის), პროგრამის კურიკულუმის რუკა (ასახავს სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსებს და მათი მონაწილეობის დონეს - გაცნობა/გადრმავება/განმტკიცება). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დანართი (პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი) მოიცავს ინფორმაციას პროგრამის იმ კომპონენტების, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციის მიღწევას და დადასტურებას. ზემოთ მითითებული უზრუნველყოფს სხვადასხვა მაჩვენებლებით პროგრამის შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „არქიტექტურის“ საბაკალავრო პროგრამა (კურიკულუმი);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი“, <https://eeu.edu.ge/portfolio/instrukciebi-tsesebi/>
- დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს - „ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები“.

პროგრამა მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (156 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს/მოდულებს (30 კრედიტი), პრაქტიკის კომპონენტი (6 კრედიტი); თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებს (42 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებს (12 კრედიტი). პროგრამით გათვალისწინებულია უცხოური ენის კომპონენტი (36 კრედიტი) – ინგლისური ენის ცოდნის დონის დამდგენი ტესტის შემდეგ სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნება ინგლისური ენის შესაბამისი დონის კურსი. პროგრამის მიხედვით ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ B2 დონეზე.

პროგრამის თავისუფალი და ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან. შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულ მოცულობას, რაც იძლევა არჩევითობის შესაძლებლობას.

ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის შესახებ ხელმისაწვდომია პროგრამის კურიკულუმისა და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის (<https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/katalogi-17.03.2021.pdf>) მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა (კურიკულუმი);
- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების ვებგვერდი <https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/katalogi-17.03.2021.pdf>

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და სილაბუსები შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან, მათი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. იგრძნობა ლოგიკური განვითარება სპეციალობის შესავლიდან და დაგეგმარების საწყისებიდან უფრო რთული საპროექტო დავალებების შემცველი სასწავლო კურსების მიმართულებით. სათანადო დრო აქვს დათმობილი სახვით ხელოვნებას, ხელოვნების ისტორიას, ქალაქმშენებლობას, ქალაქის ეკოლოგიასა და თანამედროვე ურბანულ თეორიებს, შენობა-ნაგებობების კონსტრუქციულ სისტემებს არქიტექტურაში, შენობის ინფორმაციულ მოდელირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ქართული, უცხო ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული/რუსული), მათემატიკა/ფიზიკა. ასევე, პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია: ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) მობილობით კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურებისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესების დაცვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია პროგრამის კურიკულუმში, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას.

ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებიან აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- დაწესებულების ვებგვერდი <https://eeu.edu.ge/portfolio/architecture-architecture/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებიან აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.);

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შესწავლისას გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ზოგადად მითითებული პროგრამის კურიკულუმში და დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში (გარდა სილაბუსისა „პროფესიული პრაქტიკა“, სადაც ეს ინფორმაცია მითითებული არ არის). სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს (ბაკალავრიატი) და პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, არის მრავალფეროვანი და საკმარისი. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. ინფორმაციის საჯაროობა პროგრამაში გამოყენებული ძირითადი სწავლებს მეთოდების შესახებ უზრუნველყოფილია დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- დაწესებულების ვებგვერდი <https://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2020/11/katalogi-17.03.2021.pdf>

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია სწავლების მეთოდები მიეთითოს სილაბუსში „პროფესიული პრაქტიკა“.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის და დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით (იხ. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, <https://eeu.edu.ge/portfolio/instrukciebi-tsesebi/>).

შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს 1) 5 სახის დადებით შეფასებას ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა); 2) 2 სახის უარყოფით შეფასებას ((FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სტუდენტთა შეფასების სისტემა ზოგადად მითითებულია პროგრამის კურიკულუმში და დაკონკრეტულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული შეფასების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და თავისი შინაარსით იძლევა დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას, თუმცა რამდენიმე სილაბუსის შემთხვევაში არსებობს გასაუმჯობესებელი გარემოებები:

- 1) ცალკეული ტექნიკური უზუსტობები, რომელთა გასწორება არ ითხოვს შეფასების სისტემის შეცვლის საჭიროებას (მაგ., საშინაო დავალების შესრულება - რაოდენობა - 10, თითოეულის max შეფასება - 5 ქულა, სულ - max 5 ქულა);
- 2) შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა - მაგ., „3-4 ქულა - დავალება ნაწილობრივ აქვს შესრულებული; 1-2 - დავალების მცირე ნაწილი აქვს შესრულებული; მაგ., „4-6 - დავალების უმეტესი ნაწილი შეცდომით არის შესრულებული; 1-3 - დავალების 80% შეცდომით არის შესრულებული“; მაგ., 40 ქულია ფარგლებში ქულების გრადაციას: „40 ქულა - დავალება სრულად და უმცდომოდ არის შესრულებული; 20 - დავალება სრულად არის შესრულებული, დაშვებულია ერთი შეცდომა; 0 ქულა -

დავალდება არ არის შესრულებული ან არასწორად არის გაგებული პირობა, არ პასუხობს მოთხოვნას“; მაგ., მითითებულია მხოლოდ მაქსიმალური ქულები - „მიზანდასახულობა - 10 ქულა, ოპერატიულობა - 10 ქულა“.

